

ნინო ხარჩილავა დაიბადა 1973 წლის 30 მარტს გალის რაიონ სოფელ ქვემო ბარღებში.

1990 წელს სკოლის წარმატებით დაამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მან სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზად ეთნოლოგია აირჩია. 2000 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტად.

2005 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქორწინება და საქორწინო ტრადიციები ისტორიულ სამურზაყანოში“. რის შემდეგაც მას მიენიჭა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

2005-2008 წლებში მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციოკულტურული ანთროპოლოგიისა და ეთნოლინგვისტური კვლევის საერთაშორისო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლად, 2010-2012 წლებში ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად.

მონაწილეობდა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო კონფერენციებზე. არის ოცამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

2009 წლიდან მუშაობს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსად და დღემდე აქტიური სამეცნიერო საქმიანობითაა დაკავებული.

ISBN 978-9941-9404-8-4
9789941940484

ნინო ხარჩილავა

# საქორწინო ტრადიციები ისტორიულ სამურზაყანოში

